

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია  
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის  
# 06 5.02.2018 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა  
ხის მხატვრული დამუშავება მესამე საფეხური

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 106

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებგვერდი: [www.profkoleji-opizari.ge](http://www.profkoleji-opizari.ge)

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი კოსტანიშვილი; ბიძინა გელაშვილი

**1. პროგრამის სახელწოდება: ხის მხატვრული დამუშავება**

**2. სარეგისტრაციო ნომერი:02123-3**

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში**

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი0214, სწავლების სფერო - ხის მხატვრული დამუშავება;

**4. მიზანი:**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულიასაგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხის მხატვრული დამუშავების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს ხისმხატვრულიდამუშავებისკვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

**5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:საბაზო განათლება**

**6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

ხის მხატვრული დამუშავებაში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად.

პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნასკერძოწარმოებადააწარმოოსსაკუთარიბიზნესი.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორისკოდები: 16.29; 16.29.0; 31.0; 31.01; 31.01.0.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 7522; 7523

**7. სტრუქტურა და მოდულები:**

კვალიფიკაცია „ხის მხატვრული დამუშავება“ მოიცავს 9 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 46 კრედიტის ოდენობით. ხის მხატვრულ დამუშავებაში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 78 კრედიტი და 10 კრედიტი არჩევითი მოდულები.

**8. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა**

- მოცულობა: 89 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 16,02 სასწავლო თვე

არაქართულენოვანი ენოვანი სტუდენტებისათვის 104 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 18,72 სასწავლო თვე

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
4	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
5	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2
6	უცხოური ენა	საბაზო განათლება	4
<b>სულ</b>			<b>16</b>
საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები		4
2	ხაზვა ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავებისთვის		3
3	მერწვის საწყისები		3
4	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა Photoshop CS		3
5	გაცნობითი პრაქტიკა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება		3
<b>სულ</b>			<b>16</b>

ხის მხატვრული დამუშავების სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	მერქნისა და მერქნული მასალებისაგან ნაკეთობებისდამზადებისტექნოლოგიები	-	8
2.	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	-	6
3.	ხეზე მხატვრული კვეთა	-	6
4.	მოზაიკურიტექნოლოგიითნიმუშისდამზადება	-	4
5.	ხისმხატვრულიდამუშავებარცხვით პროგრამულიმართვისჩარხებისგამოყენებით	-	5
6.	ქართული ტრადიციული ხისნაკეთობების დამზადება	მოდული: კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	6
7.	ხის წნული ნაკეთობების დამზადება	-	3
8.	ხის ნაკეთობათა შეკეთება	-	3
9.	პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში	პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული	5
<b>სულ</b>			<b>46</b>
ხის მხატვრული დამუშავების არჩევითი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება	-	7
2.	იატაკის მოწყობა	-	4
<b>სულ:</b>			<b>11</b>

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგები ხის მხატვრული დამუშავების მიმართულებით

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი;
- დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა;
- ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები;
- განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში;
- განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება;
- დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით;
- შექმნას ხის წნული ნაკეთობები;
- განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

## 10. ჩარჩოდოკუმენტისსაფუძველზეპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისშემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულებამჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავაპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაკვალიფიკაციის შესაბამისად.

შემუშავებულიპროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამათვალისწინებს არჩევითი სტატუსისმოდულებსამავიპროფესიულიპროგრამისმოდულებისკრედიტთასაერთომოცულობისარაუმეტეს 20 %-ისა.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) არაფორმალურიგანათლების გზითმიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებაგანათლებისდა მეცნიერებისმინისტრის მიერ დადგენილიწესით;

ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**11.მესამე საფეხურის პროგრამებში:** „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

## 12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიულიკვალიფიკაციისმოსაპოვებლადპროფესიულმასტუდენტმაუნდადააგროვოს

პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამაშიგანსაზღვრულიმოდულებითგათვალისწინებულიკრედიტები.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები**

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“;
- „პროფესიული სტანდარტის, ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესი“;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO – 2008);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISED – 2013);
- ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკურისა და ხევის;
- პროფესიული სტანდარტები:
  - ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი;
  - ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი;
  - დურგალი;

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"  
პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულებები

1. შპს „ნადათი“ –ს ავეჯის დამზადების საამქრო. ხელშეკრულება N 38 1 თებერვალი. 2018წ,
2. ახალციხის სამხატვრო სკოლა. ხელშეკრულება #42 1 თებერვალი 2018 წ